

„ნორჩ მხაზველთა“ 56-ე ეროვნული კონკურსის დებულება

კონკურსის ჩატარების მიზანი:

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის არქიტექტურისა და ინჟინერიის მიმართულების და ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ტარდება ნორჩ მხაზველთა კონკურსი, რომელიც ხელს უწყობს მოზარდებში საინჟინრო მეცნიერებებით დაინტერესებას, ასევე სივრცითი აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და შემეცნებითი უნარების განვითარებას.

კონკურსის ჩატარების ვადები და პირობები:

1. კონკურსი ტარდება ორ ტურად:

I ტური ტარდება – **2019 წლის 14 აპრილს** - მონაწილის დასწრება სავალდებულოა.

II ტური – გამოფენა, დაჯილდოება **2019 წლის 6 ივნისს**.

ა) I ტური თბილისელ მოსწავლეთათვის ჩატარდება ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში;

ბ) I ტური რაიონის მოსწავლეთათვის ჩატარდება ადგილზე სკოლებში;

გ) II ტური – თბილისში ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში;

- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერი ტიპის სკოლის მოსწავლეს;
- საკონკურსო ნახაზებში უნდა ჩანდეს მოსწავლის თეორიული მომზადება საინჟინრო გრაფიკაში, მისი უნარ-ჩვევები ნახაზების სტანდარტული წესით შესრულებასა და გრაფიკული გამოსახულების აგების კულტურაში;
- კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ გამოფენაზე წარმოადგინონ სხვადასხვა თემატიკის შემცველი ორიგინალური ნაშრომი და მაკეტი;
- საგამოფენო ნახაზი სრულდება A3 ფორმატის სახაზავ ფურცელზე, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის გაზრდა;
- საკონკურსო ნახაზი სრულდება ფანქრით;
- საგამოფენო ნახაზი შემოქმედებითა და შესაძლებელია მისი შესრულება ტუშით ან ფერადი მასალით, თუმცა დაცული უნდა იყოს ყველა სტანდარტული პირობითობა;
- მოდელის დამზადება შეიძლება ავტორისათვის სასურველი და ხელსაყრელი მასალით (დეტალის ზედაპირის განფენის მიხედვით) რითაც აჩვენებს საკუთარ შემოქმედებით აზროვნებას;
- სასურველია საგამოფენოდ ხელით შესრულებული ნახაზების გვერდით წარმოადგინონ კომპიუტერულ გრაფიკაში შესრულებული ნახაზებიც.

I ტური ითვალისწინებს:

1. **VIII კლასელთათვის** – II სირთულის ფიგურის თვალსაჩინო გამოსახულებიდან ხედებისა და აქსონომეტრიის აგებას;
II სირთულის ფიგურა - წახნაგოვანი და მრუდე ზედაპირების კომბინაციით შდგენილი ფიგურა, რომელსაც შიდა სიღრუეები არ გააჩნია.
2. **IX – X კლასელთათვის** – III სირთულის ფიგურის მოცემული ორი ხედის მიხედვით მესამე ხედის დააქსონომეტრიუ-ლი გეგმილის აგებას;
III სირთულის ფიგურა - წახნაგოვანი და მრუდე ზედაპირების კომბინაციით შედგენილი ფიგურა, რომელსაც შეიცავს შიდა ფორმებსაც (სიღრუეები, გამჭოლი ხვრელები, ღარები, ამონაჭრები და მისთანანი).
3. **XI – XII კლასელთათვის** – III სირთულის ფიგურის მოცემული ორი ხედისა და აქსონომეტრიული გეგმილის აგებას მარტივი ჭრილების გამოყენებით.
კონკურსის მიმდინარეობისას მონაწილეს შეუძლია შეასრულოს ის დავალება რომლის შესაბამისი ცოდნაც აქვს მას. დაჯილდოებისას გათვალისწინებული იქნება რომელი კლასის შესაბამისი დავალება შეასრულა და არა ის, თუ რომელ კლასშია.

II ტური ითვალისწინებს:

1. საგამოფენო მასალების გამოფენა–დათვალიერებას და შეფასებას;
2. გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოებას.

კონკურსის ამოცანებს ადგენს საორგანიზაციო კომიტეტი:

რეგიონებში კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი ხელშემწყობი კომიტეტები, რომელთაც ევალებათ საკონკურსო ამოცანების შედგენა დებულების მოთხოვნის მიხედვით.

რეგიონების შედეგები გადაეგზავნება კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს.

კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცემათ:

1. **გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრიზი**
ჯილდოვდებიან XII კლასის მოსწავლეები, რომლებმაც კონფერენციაზე მიიღეს საუკეთესო შეფასება, კონკურსში – უმაღლესი ქულა (15), წარმოადგინეს ორიგინალური საგამოფენო მასალა და IX – XI კლასებში მიიღეს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი

ჯილდოვდებიან – IX–XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსზე შეფასდებიან უმაღლესი ქულით (15), მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციაში და წარმოადგენენ საგამოფენო მასალას.

3. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დიპლომით

ჯილდოვდებიან X – XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსში მიიღებენ 14 ქულას და VIII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც მიღებული ექნებათ 15 ქულა

4. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სიგე-ლით ჯილდოვდებიან

- VIII კლასის მოსწავლეები რომლებიც კონკურსში მიიღებენ 13– 14 ქულას.
- IX –XII კლასის მოსწავლეები რომლებიც კონკურსში მიიღებენ 13 ქულას.